

# გ უ შ ი ნ

## დიდი ზეიმით აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

რედაქციაში შემოვიდა ფოტოსურათი.

რედაქციაში შემოვიდა ლექსი.

სხვადასხვა ავტორისა.

თემა კი ერთია — ბავშვები და ყვავილები.

ეს ორი სიტყვაც, გარკვეული გაგებით, ერთია: ბავშვები ხომ ჩვენი ყვავილობაა — კაცობრიობის ყვავილობა! ყვავილები კი ისევე ალამაზებენ ჩვენს ცხოვრებას, როგორც ბავშვები...

ეგებ ამიტომაც შეეწყვილა ჩვენში ერთმანეთს — პატარა, ლამაზ თაიგულად — ორი დღესასწაული: ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და ყვავილთა დღესასწაული!

ფოტოსურათს თქვენ ხედავთ..,

პოეტი კი წერს:

„გვჯერა:
ეს ლამაზი ფურცლები, თითები
მიწას შემოხსნიან
დაშნას და ფარაჯას!
და კაცობრიობაც,
აღვსილი დიდებით,
მზესა და სიცოცხლეს
დალოცავს მარადჟამს“...

**დღეს ნომერში:**

- * სტუდენტთა თამაშები. (მე-2 გვ.)
- * ოლიმპიელთა ფრე ლაიფციგში (მე-3 გვ.)
- * „დიადი უკუქცევა“ (მე-3 გვ.)
- * ფიდე მკაცრად სჯის ფიშერს (მე-4 გვ.)


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 107 (2470) ◉ სამშაბათი, 2 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.


### უიკენდის საათი...

**მოსკოვი.** სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა მეთექვსმეტედფინალური თამაშების კალენდარი ჩვენი ქვეყნის თასზე „ა“ და „ბ“ კლასის ოსტატთა გუნდებისთვის.

თბილისის „დინამო“ 3 ივნისს კრასნოიარსკში შეხვდება ადგილობრივ „ლოკომოტივს“, ხოლო ქუთაისის „ტორპედო“ 19 ივნისს სევასტოპოლში ეთამაშება ფლოტის სპორტკლუბის (სკფ) გუნდს.

**პარიზი.** საბჭოთა ველოსიპედისტმა ი. გუნიაშოვმა მოიხვეჭა გაზეთ „იუმანიტეს“ „დიდი პრიზი“ — გაიმარჯვა ყოველწლიურ ტრადიციულ რბოლაში, რომლის ტრასა 2 ეტაპად იყო დაყოფილი (165 და 160 კმ). ამ მანძილის დაფარვას გუნიაშოვმა მოანდომა 8:27.20.

მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა ველოსიპედისტი ა. კულიბინი, რომელიც გამარჯვებულს სულ 20 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილზეა პოლონელი კეგელი.

გუნდურ ასპარეზობაში კვლავ საბჭოთა ველოსიპედისტებმა აჩვენეს საუკეთესო შედეგი, მოიგეს ჯილდო ორივე ეტაპზე და დაიმსახურეს მარსელ კაშენის პრიზი.

შეჯიბრებაში, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ საფრანგეთის, სსრ კავშირის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების გუნდები.

**კლუჟი.** ბაქოს „ნეფტიანიკი“ განაგრძობს ტურნეს რუმინეთში. საბჭოთა ფეხბურთელებს მეორე მატჩი ჰქონდათ ადგილობრივ „შტიინცასთან“. გაიმარჯვეს ბაქოელებმა — 4:1.

**კიშინიოვი.** აქ დამთავრდა ოთხი რესპუბლიკის — მოლდავეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა აზერბაიჯანის კოლექტივმა. გამარჯვებულს 1,5 ქულით ჩამორჩა საქართველოს ნაკრები.

აღსანიშნავია ი. დიაჩკოვის (საქართველო) შესანიშნავი მიღწევა ათჭიდში — 7.605 ქულა. რ. შავლაყაძემ სიმაღლეზე ხტომაში აჩვენა 2,09 მ.

*კიევი, 31 მაისი. ამხანაგურ მატჩში სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები შეხვდა ჰოლანდიის ფეხბურთელთა ახალგაზრდულ ნაკრებს. პირველ ტაიმში მასპინძლებმა მოწინააღმდეგის კარში ერთი ბურთი გაიტანეს, რის შემდეგაც დამშვიდდნენ. ამით ისარგებლეს ჰოლანდიელებმა, მოახერხეს 2 ბურთის გატანა და გაიმარჯვეს.*

**ამსტერდამი.** 1 ივნისს, საზონათშორისო ტურნირის X ტურში წარმატებით ითამაშა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა შტეინმა. მან დაამარცხა პორატი (ისრაელი). ტრინგოვმა (ბულგარეთი) მოუგო ბერგერს (ავსტრალია), ხოლო ივკოვმა (იუგოსლავია) — ვრანეშიჩს (კანადა), ლენდიელმა (უნგრეთი) — კვინონესს (პერუ).

დიდ ინტერესს იწვევდა ტურნირის ლიდერის ლარსენისა (დანია) და ამერიკელი დიდოსტატის რეშევსკის პარტია. რთულ მანევრულ ბრძოლაში მოწინააღმდეგეები მშვიდობიანი შედეგით დაკმაყოფილდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ფოგელმან (არგენტინა) — სმისლოვისა (სსრ კავშირი) და პორტიშ (უნგრეთი) — პახმანის (ჩეხოსლოვაკია) პარტიები.

**სსრ კავშირის უძლიერეს კალათბურთელ ქალთა ტურნირი**

**გათამაშების საბოლოო ცხრილი**

**I — XII ადგილები**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ტტტ რიგა | 22 | 19 | 3 | 19 |
| „ბურ“. ლენინგრ. | 22 | 14 | 8 | 14 |
| სკა ლენინგრ. | 22 | 14 | 8 | 14 |
| „ტექსტილმ“. ტშ. | 22 | 13 | 9 | 13 |
| „სიმ“. მოსკ. | 22 | 12 | 10 | 12 |
| სპი თბილისი | 22 | 11 | 11 | 11 |
| „დინამო“ კიევი | 22 | 10 | 12 | 10 |
| უსკ ტარტუ | 22 | 10 | 12 | 10 |
| „სიბირიაჩკა“ ნს. | 22 | 9 | 13 | 9 |
| „ურალმაში“ სვ. | 22 | 8 | 14 | 8 |
| „პოლიტექნიკი“ კნ. | 22 | 7 | 15 | 7 |
| „სპარტაკი“ მ. ო. | 22 | 5 | 17 | 5 |

ფეხბურთი — ფრენბურთი

## პიონერებმა თავი არ შეირცხვინეს

ნორჩი სპორტსმენები ნაყოფიერად საქმიანობენ ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში. აქ საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია ფეხბურთელთა, მაგიდის ჩოგბურთელთა და მოშაშეთა სექციები.

ხშირად ტარდება საინტერესო ღონისძიებები. ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით პიონერებმა მოაწყეს ლაშქრობა მარშრუტით: ქუთაისი — ბროწეული — მესხეთი — ქუთაისი. ლაშქრობის დროს ისინი დაუმეგობრდნენ ბროწეულას სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურელებს, ითამაშეს მათთან ფეხბურთი.

ცხოველი ინტერესი გამოიწვია პიონერთა პარკისა და № 33 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურელთა სამატჩო შეხვედრებმა ფეხბურთში, ფრენბურთში, შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებები გაიმართა როგორც პიონერთა პარკის, ისე პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტულ მოედნებზე. პატარებმა უფროს კოლეგებს ღირსეული პარტნიორობა გაუწიეს. მათ დიდი ანგარიშით დაამარცხეს „მოწინააღმდეგის“ ფეხბურთელთა გუნდი. მაგიდის ჩოგბურთშიც, როგორც წყვილთა, ისე ერთეულთა შეხვედრებში, წარმატება კვლავ პიონერების მხარეს იყო. სამაგიეროდ ფრენბურთში უფროსებმა გაიმარჯვეს. დაძაბულად წარიმართა შეხვედრები შაშში.

საერთო ჩათვლაში გამარჯვებული პიონერთა პარკის ფიზკულტურული კოლექტივი № 33 პროფტექნიკური სასწავლებლის მიერ დაჯილდოვდა სიგელით.

**ი. კოკუაშვილი**

ქუთაისი.

□

## ქალაქში მოწინავენი

თბილისის რაიონების მოსწავლე-მოჭადრაკეების გუნდურმა პირველობამ, რომელიც ამას წინათ დამთავრდა, გამოავლინა უძლიერესი — ლენინის რაიონის ნორჩი მოჭადრაკეები (გ. ციხელაშვილი, ა. ბურჭულაძე, გ. მურჯიკნელი, ა. ლვანიძე, ა. მემარნიშვილი, ნ. ჩაქობავა, ნ. ხუბულური). ჩემპიონებმა მოუგეს პირველი მაისის (4:3), 26 კომისრის (5,5:1,5), ოქტომბრის (7:0), კიროვის (6:1) რაიონის გუნდებს, ყაიმით (3,5:3,5) დაამთავრეს შეხვედრები ორჯონიკიძისა და კალინინის რაიონების კოლექტივებთან.

**ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის კარგი საქმეები △ საჭიროა სამეცადინო ოთახი.**

— ეს არ არის ლენინის რაიონის ნორჩ მოჭადრაკეთა პირველი გამარჯვება, — ამბობს გუნდის მწვრთნელი შ. ინწკირველი. — რაიონის მე-4 საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა ამას წინათ მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადაზე თბილისის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს, ხოლო ამავე სკოლის პიონერთა რაზმეულის გუნდმა — დედაქალაქის ჩემპიონობა პიონერული ასაკის მოჭადრაკეებში. გამარჯვებულ პიონერებს გადაეცათ პიონერთა სასახლის გარდამავალი თასი.

და როცა გესმის ლენინის რაიონის ნორჩ მოჭადრაკეთა წარმატებაზე, არ შეიძლება სინანული არ გამოთქვა, რომ მათ მეცადინეობისთვის არა აქვთ ნორმალური პირობები. ისინი ხან მე-4 სკოლის, ხან პიონერთა სახლის პიონერულ ოთახში ვარჯიშობენ (ზამთარში იგი არ თბება). საჭირო კია, რომ მათ ჰქონდეთ თავისი სამეცადინო ოთახი.

**ნ. ჭელიძე**

□

## შრომელთა წარმატება

ამას წინათ რაიონის 16 საშუალო სკოლის ფრენბურთელთა გუნდმა დაამთავრა ბრძოლა ჩემპიონის სახელისთვის. უძლიერესის წოდება დაიმკვიდრეს სოფელ შრომის საშუალო სკოლის ნორჩმა ფიზკულტურელებმა.

**ლ. ჯიშიაშვილი**

ზესტაფონი.

ჭადრაკი — ტურიზმი

○

### მომავალი ჩემპიონები და რეკორდსმენები

შეხედეთ ამ ბედნიერ ბავშვებს! როგორი სიხარულით ჰყუმპალაობენ ისინი საწყლოსნო აუზში... ვინ იცის, გაივლის რამდენიმე წელი და მათ შორის ჩემპიონები და რეკორდსმენები აღიზრდებიან.

ფოტო ვ. გენგიურისა.

○



# სტუდენტთა თამაშები



**წყალში ხტომა.** სპორტის ეს სახეობა ერთ-ერთი ულამაზესი და რთულია. სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში იგი გერის როლში გამოდის. ამის ერთ-ერთ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ზამთრის აუზის უქონლობა წყალში მხტომელთათვის, ხოლო რაც საზაფხულო აუზებში სპორტსმენებისთვის ეწყობა, ეს ძალზე ცოტაა ამ წარმტაცი სახეობის ფართოდ დანერგვისთვის. ზემოაღნიშნული ფაქტორები გვევლინებიან იმ მუხრუჭად, რომელიც აჩერებს წყალში ხტომის მასობრივ განვითარებას. ხოლო მასობრიობის გარეშე არ არის ოსტატობაც. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ვერსად ვერ ნახავთ წყალში ხტომის სექციას.

ამ სახეობას მხოლოდ ზოგიერთ სპორტულ საზოგადოებაში ნერგავენ. კერძოდ, „დინამოში“, „განთიადში“, „ბურევესტნიკსა“ და „შრომით რეზერვებში“, და აქაც იგი სუსტადაა განვითარებული.

ამ სავალალო მდგომარეობის ნათელი დადასტურება იყო სტუდენტთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა წყალში ხტომაში. მხოლოდ სამმა უმაღლესმა სასწავლებელმა — უნივერსიტეტმა, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტებმა შეძლეს გუნდების გამოყვანა. სტარტზე გამოვიდა 18 სტუდენტი, მათ შორის 5 ქალი. რამდენადმე კარგ შედეგებზე ლაპარაკი ზედმეტია და ყველაზე ნაკლებად ამაში მონაწილენი არიან დამნაშავენი, რადგან მათ შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად მხოლოდ ერთი კვირა ჰქონდათ (მანამდე აუზი ერთი თვის განმავლობაში არ მუშაობდა). შედეგად მივიღეთ ის, რომ 18 მონაწილიდან 12-მა შეფასება ვერ მიიღო, რადგან ვერ ჩაეტია ჩასათვლელ, მეორე თანრიგში.

დამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრები ვ. მარასალოვა, ო. შაუთიძე (ორივენი — უნივერსიტეტიდან) და ბ. პლევაკო (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომლებმაც პირველი თანრიგის ნორმა შეასრულეს და ი. გუტიაკულოვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომელმაც 0,3 ქულით გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმას.

სტუდენტთა თამაშების ჩემპიონები გახდნენ: სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში — ვ. მარასალოვა (116,16 ქულა) და ი. გუტიაკულოვი (150, 03); კოშკურიდან ხტომაში — ს. ნიკიტინა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ბ. პლევაკო.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. უნივერსიტეტი—306,67, 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი — 245,2, 3. პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 168,72.

□



**ჭიდაობა.** ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა მოჭიდავეთა ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობამ მოიყარა თავი.

კლასიკურ ჭიდაობაში პირველობისთვის იბრძოდა 8 კოლექტივი (უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტები, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტები), რომლებიც 57 სპორტსმენით იყვნენ წარმოდგენილი.

თავისუფალ ჭიდაობაში ბათუმისა და ქუთაისის გუნდების ნაცვლად მონაწილეობენ ცხინვალის პედაგოგიური და თბილისის ზოოვეტერინალური ინსტიტუტების კოლექტივები. ამ სახეობაში ხალიჩაზე გამოვიდა 70 მოჭიდავე.

პირველი დღის შეხვედრებიდან აღსანიშნავია კლასიკური სტილის მოჭიდავის დ. გვანცელაძის (უნივერსიტეტი) გამარჯვება ჯ. დათოსანთან (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). უნივერსიტეტელმა ზ. უგრეხელიძემ სუფთად მოუგო ქუთაისელ ო. ჯინჭარაძეს. ნ. ჭეჭინაძე (პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი) დამარცხდა სპორტის ოსტატ მ. საკანდელიძესთან (უნივერსიტეტი).

გ. ხაბულიანისა და ო. ბლიაძის, აგრეთვე ჯ. ბულაძე — ა. ხაბეიშვილის შეხვედრებში მოწინააღმდეგეებს პასიური ბრძოლისთვის დამარცხება ჩაეთვალათ.

თავისუფალ ჭიდაობაში თავი ისახელეს უნივერსიტეტელებმა. ზ. მონასელიძემ და ბ. ბესტავაშვილმა ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს, თ. კველიშვილმა მოუგო ბ. გატიკოვს (ცხინვალი), ხოლო ორთაბრძოლა თავის ძმასთან — ბ. კველიშვილთან (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) ფრედ დაამთავრა.

უნივერსიტეტელებმა ასევე მაღალ დონეზე ჩაატარეს უკანასკნელი დღის შეხვედრებიც. ორივე სახეობაში ბრძოლა პირველი ადგილისთვის, მათ ძირითადად ჰქონდათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებთან. საინტერესო შეჯიბრება უნივერსიტეტელთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ კლასიკურ ჭიდაობაში 5 პირველი, 2 მეორე და 1 მესამე ადგილი მოიპოვეს. მომავალ ინჟინრებს გამარჯვება დარჩათ სამ წონით კატეგორიაში.

თავისუფალ ჭიდაობაში უნივერსიტეტის სპორტსმენებმა 6 პირველი და 2 მეორე ადგილი დაიკავეს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა კი მხოლოდ 2 პირველი და 3 მეორე ადგილის მოპოვება შეძლეს.

მესამე ადგილი კლასიკურ ჭიდაობაში დაიკავა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდმა, თავისუფალ ჭიდაობაში კი ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა.

კლასიკურ ჭიდაობაში ჩემპიონთა სია ასე გამოიყურება: უმჩატესი წონა — დ. ჯანაშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), მჩატე — ზ. უგრეხელიძე, ქვემსუბუქი — გ. წოწორია, მსუბუქი — მ. საკანდელიძე, ქვესაშუალო — დ. გვანცელაძე, საშუალო — გ. ხაბულიანი (ხუთივენი — უნივერსიტეტიდან), ქვემძიმე — დ. გველესიანი, მძიმე ა. ხაბეიშვილი (ორივენი — პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან).

თავსუფალ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ: უმჩატეს წონაში — ზ. მონასელიძე, მჩატეში — თ. კველიშვილი, ქვემსუბუქში — გ. ბესტავაშვილი, მსუბუქში — გ. ჯოგლიძე, ქვესაშუალოში — ვ. ფეტვიაშვილი (ყველანი — უნივერსიტეტიდან), საშუალოში — დ. დავლიანიძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ქვემძიმეში — გ. გზირიშვილი (უნივერსიტეტი), მძიმეში — ლ. კინწურაშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

ამრიგად, საკავშირო ფინალურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებმა.

□



**ჩოგბურთი.** გუნდური ტურნირის დამთავრების შემდეგ ჩოგბურთელებმა ასპარეზობა დაიწყეს პირად პირველობაზე.

შეჯიბრების დასაწყისში არავითარ სიურპრიზს ადგილი არ ჰქონია — უძლიერესებმა ადვილად დაამარცხეს შედარებით სუსტი მეტოქენი. საინტერესოდ წარიმართა ვაჟთა მეოთხედფინალური შეხვედრები: ლ. მძინარიშვილმა მოუგო (6:2, 6:3) ჟორდანიას, გოგლიძემ — სურმავას (3:6, 6:2, 6:3), კაკულიამ — ბარნაბიშვილს (6:2, 6:4), მუსაელიანმა — პერეგუდოვს (6:4, 5:7, 6:3). შემდეგ ნახევარფინალური შეხვედრები. აქ გამარჯვება წილად ხვდათ მძინარიშვილს და კაკულიას. პირველმა დაამარცხა გოგლიძე (6:3, 6:4), ხოლო მეორემ — მუსაელიანი (6:4, 6:2). ფინალში გაიმარჯვა და პირველი ადგილი მოიპოვა მძინარიშვილმა — 2:6, 6:0, 3:6, 6:2, 8:6.



ქალთა შორის კონკურენციის გარეშე იყო ერმოლოვა, რომელმაც ერთნაირი ანგარიშით (6:0, 6:0) დაამარცხა პაპაიანი, შემდეგ კი ვერულავა და გავიდა ფინალში. აქ იგი შეებრძოლა ხარჩილავას. ამ უკანასკნელმა ფინალამდე გაიმარჯვა ტიმაშჩუკთან (8:6, 6:0) და ღოღობერიძესთან (6:0, 6:2). როგორც მოსალოდნელი იყო, ერმოლოვამ ფინალში იოლად სძლია მეტოქეს ანგარიშით 6:3, 6:4.

**გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა.**

* * *

**სურათებზე:** ზევით — სოხუმელ ბ. ლეკვეიშვილისა და ქუთაისელ ვ. ჭეიშვილის შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვა პირველმა. ქვევით — სამმეტრიან ტრამპლინიდან წყალში ხტომაში გამარჯვებული უნივერსიტეტელი ვ. მარასალოვა.

ფოტო ი. იუნაევისა და ბ. კამენსკისა.



„[illegible] და [illegible]

## „იმერეთი“ — სპორტკლუბთა ოჯახში!

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭო დაჯილდოებულ იქნა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით. ახეთივე ჯილდო გადაეცა თბილისის რაისაბჭოს. ფიზკულტურის კოლექტივების დიდი ჯგუფი აგრეთვე დაჯილდოვდა საკავშირო პროფსაბჭოსა და „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელებით.

ამ მაღალი ჯილდოების მიღების საფუძველი გახდა ის, რომ, კერძოდ, თბილისისა და სამტრედიის რკინიგზის კვანძების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა შეასრულეს ყველა პირობა, რაც სავალდებულოა სპორტული კლუბის საპატიო წოდების მოპოვებისთვის.

ამ დღეებში პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რათა ორივე ამ ფიზკულტურულ კოლექტივს მიენიჭოს სპორტული კლუბის წოდება. თბილისის რკინიგზის კვანძის სპორტულ კლუბს შეერქვა „ელმავალი“, ხოლო სამტრედიის რკინიგზის კვანძის სპორტკლუბს — „იმერეთი“.

ეს რკინიგზელთა პირველი სპორტული კლუბებია საქართველოში.

**რ. პოლოსოვი,**
სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ მეთოდისტი.





## შეამცირეს... კარგი მუშაობისთვის

წულუკიძის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავე იყო სპორტსაზოგადოება „განთიადის“ სამტრედიის ზონალური საბჭოს კოლექტივებს შორის. ფაბრიკის ფიზკულტურელებს სათავეში ედგა თ. ლეთოდიანი. იგი ამ კოლექტივში აღიზარდა, დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი და შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ფაბრიკას. სამი წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით საწარმოს ფიზკულტურელთა რიცხვი 600 კაცამდე გაიზარდა (ფაბრიკაში 1.100 მუშა-მოსამსახურეა), დაკომპლექტდა ნაკრები გუნდები.

კარგი მაგალითი და ინიციატივა — გადამდებია. აქტივისტები მალე ამოუდგნენ მხარში თ. ლეთოდიანს. დ. ხანიძე სათავეში ჩაუდგა ტყვიით მსროლელებს, ფეხბურთელებს — ჯ. სანოძე, მაგიდის ჩოგბურთელებს, — დ. მენაბდე, მოჭადრაკეებსა და მოშაშეებს — ვ. ძაძამია. საწარმოს სპორტულ ბაზებზე სისტემატურად მიმდინარეობდა საწვრთნელი ვარჯიშები, შეჯიბრებები, რამაც, ცხადია, თავისი ნაყოფი გამოიღო: გაუმჯობესდა შედეგები რაიონულ ასპარეზობებზე.

ფაბრიკის ფიზკულტურულმა კოლექტივმა გასულ წელს დიდი გადაჭარბებით შეასრულა თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების გეგმები.

და მოულოდნელად მოხდა გასაოცარი რამ: ფაბრიკის დირექტორმა ვ. ბეროძემ თვითნებურად შეამცირა ინსტრუქტორ-მეთოდისტის შტატი!... და აი, შედეგიც: სპორტსმენები უყურადღებოდ დარჩნენ, დაიხურა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, წითელ კუთხეში მიმალულ იქნა ჭადრაკისა და შაშის დაფები. სექციის წევრები ვეღარ აწყობენ საწვრთნელ მეცადინეობებს, საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

მიმდინარე წელს ფაბრიკის სპორტსმენებს სრულებით არ მიუღიათ მონაწილეობა რაიონულ შეჯიბრებებში. გადის თითქმის ნახევარი წელი და არ მომზადებულა არც ერთი ნიშნოსანი და თანრიგოსანი.

და, ყოველივე ზემოთქმულიდან დასკვნები გამოიტანონ იმათ, ვისაც ეს ეხება...

**ლ. ფაჩუაშვილი**
(ჩვენი სპეც. კორ.).
წულუკიძე.

## როცა საქმეში მონდომებაა

სტადიონის ტრიბუნებს ტაში მოსწყდა და ნორჩთა წარმატება ათასებმა გაიზიარეს. მე-3 საშუალო სკოლა-ინტერნატის 250 აღსაზრდელმა საკუთარი ორკესტრის თანხლებით ლამაზად, მსუბუქად და გემოვნებით შეასრულა თავისუფალი ვარჯიშები, რომელთა ფინალსაც რთული პირამიდა წარმოადგენდა.

ეს მოხდა ახლახან, აჭარის მოსწავლეთა სპარტაკიადის გახსნის დღეს. მართალია, ვარჯიში ორიოდე წუთში იქნა შესრულებული, მაგრამ ვინ მოთვლის რამდენი იშრომა მის მომზადებაზე ინტერნატის ფიზკულტურის მასწავლებელმა ამირან გიორგაძემ, რომელიც საქმის ცოდნით, მონდომებით ეკიდება აღსაზრდელთა ფიზიკურ წვრთნას და კარგ შედეგებსაც აღწევს.

სპორტის მესვეურს მხარში უდგანან არა მარტო დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი, არამედ მოსწავლეებიც — ამა თუ იმ სექციის საზოგადოებრივი მწვრთნელები. ავიღოთ, თუნდაც, მეცხრეკლასელი კალათბურთელი კ. გაბეჩავა, რომელიც კარგი სწავლით გამოირჩევა. ნორჩი კალათბურთელი პირად გამოცდილებას დაუზარებლად უზიარებს ახალბედებს და ძირითადი გუნდის საიმედო ცვლას ამზადებს.

ქების ღირსია კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნანი კვერღელიძე, რომელიც ფრენბურთელებს წვრთნის და მის მიერ მომზადებული გუნდი ინტერნატის სპარტაკიადის პრიზიორია. ახალბედა მწვრთნელისთვის ეს შედეგი პატარა წარმატება როდია.

აღმზრდელი ოთარ შველიძე მოჭადრაკეთა სექციას ჩასდგომია სათავეში და ნორჩ სპორტსმენებს დიდი ენთუზიაზმით ავარჯიშებს.

— ჭადრაკმა ცოტა მოგვიანებით იცის შედეგების გამოღება, — ამბობს მწვრთნელი.

თუმცა ზოგი რამ ახლაც შეიძლება ითქვას მის აღსაზრდელებზე: მიმდინარე სასწავლო წელს 13 მეოთხე და მეხუთეთანრიგოსანი იქნა მომზადებული.

ხალხმრავლობაა მძლეოსნობის სექციებშიც.

პირველი ნათლობა მიიღეს ხელბურთელებმაც, რომლებიც საშემოდგომო სპარტაკიადაში მოსინჯავენ თავიანთ ძალებს. ნორჩი ტურისტებისთვის კი ხარბიელს რა გამოლევს, პატარებს ღამისთევით არაერთხელ დაულაშქრავთ მთა ცისკარა თუ უსახელო გორაკები.

მოსწავლეები ზამთრის პერიოდში დიდ ხივწროვეს განიცდიდნენ სპორტული ბაზების უქონლობის გამო. მომავალში კი ამ მხრივ დაბრკოლებები აღარ იქნება. ინტერნატმა მიიღო ახალი სასწავლო კორპუსი, რომელიც ტიპიური პროექტითაა აგებული. სექტემბრიდან ფრენბურთელები, კალათბურთელები, ტანმოვარჯიშეები სპორტდარბაზში ივარჯიშებენ, ხოლო მოჭადრაკეებს, მოჭიდავეებსა და მაგიდის ჩოგბურთელებს ცალკე ოთახები გამოეყოფათ.

**გ. ხელაძე,**
**თ. სპანდერაშვილი**
ბათუმი.

## საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) გადაწყვეტილებით დაწესდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯთა სამი საკლასიფიკაციო ჯგუფი.

საბჭოთა მსაჯები — ა. იალტირიანი, ვ. ილურიძე, ა. ლენცი და ნ. ჩიონოვი პირველ ჯგუფში მოხვდნენ. მეორე ჯგუფში არიან — გ. კურდოვი, ვ. კოვარსკი და ნ. მიაგჩენკოვი, მესამეში — ვ. კუხიანიძე და ა. მაზური. შემდგომში მსაჯთათვის კვალიფიკაციის ამაღლება მოხდება მხოლოდ მსოფლიო პირველობებსა და ოლიმპიურ თამაშებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიელთა ფრე ლაიფციგში

## სსრ კავშირი — გდრ 1:1

პირველმა შესარჩევმა მატჩმა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც ლაიფციგის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა (თამაშს ესწრებოდა 100 ათასი მაყურებელი), მეტად დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა.

საბჭოთა ოლიმპიელები მოედანზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით: ურუშაძე — პონომარიოვი, კორნეევი, შესტერნევი, გლოტოვი — ანიჩკინი, ბიბა — სერებრიანიკოვი, სევიდოვი, მალაფეევი, ბურჩალკინი.

თამაშის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა საბჭოთა ფეხბურთელების ტერიტორიული უპირატესობით, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის ბევრი შესაძლებლობა. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავდნენ სევიდოვი და ბურჩალკინი.

გერმანელებმა, რომელთაც მატჩისათვის ამზადებდა უნგრელი მწვრთნელი კაროლ შოოში, შეხვედრა მაღალ ტემპში, დიდი ალმავლობით ჩაატარეს. მე-12 წუთზე კუთხურის მიწოდებისას მათ კარგად გამოიყენეს საბჭოთა მცველების შეცდომა და ფრენცელმა (№ 9) გახსნა ანგარიში. ასე დასრულდა შეხვედრის პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ გერმანელები ძირითადად ანგარიშის შენარჩუნებისთვის ზრუნავდნენ. კარგად ითამაშეს მეკარე პაინშმა და მარჯვენა მცველმა ურბანჩიკმა, ამასთან ბურჩალკინმა ვერ გამოიყენა ანგარიშის გათანაბრების საუცხოო შესაძლებლობა. თავის მხრივ, გერმანელი თავდამსხმელები ხშირად ურტყამდნენ შორი დისტანციიდან, [illegible] ყოველთვის ეუფლებოდა ბურთს.

თამაშის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როდესაც სევიდოვმა ბიბას მიერ ჩაწოდებული ბურთი უძლიერესი დარტყმით გაგზავნა გდრ-ის გუნდის კარის ბადეში.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

საპასუხო მატჩი გაიმართება მოსკოვში, 7 ივნისს.

## რუმინეთი — ბულგარეთი 1:0

გასულ კვირას, სოფიაში გაიმართა რუმინეთისა და ბულგარეთის ოლიმპიური გუნდების განმეორებითი შეხვედრა. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს რუმინელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც გაინაღდეს ტოკიოს საგზური.



გასულ კვირას თბილისში ლამაზად აღინიშნა ყვავილების დღე! ქალაქი მოირთო ყვავილებით. ათასობით დიდი და პატარა ტკბებოდა ვარდობისთვის ამ ტრადიციული ზეიმით.

ჩვენმა ფოტორეპორტიორმა მ. ზარგარიანმა მაშინ გადაუღო ეს სურათი ნანა ალექსანდრიას, როცა ახალგაზრდა ნიჭიერმა მოჭადრაკემ ვარდები იყიდა.

— დილიდან ყვავილების ჯიხურებში ამაოდ ვეძებდი იმ ვარდს, რომელიც თბილისის ბოტანიკური ბაღის მეცნიერმუშაკებმა გამოიყვანეს და ნონა გაფრინდაშვილის სახელი შეარქვეს... ალბათ, ვარდი „ნონა" ჯერ იმდენი არ არის, რომ ყველას შეხვდეს, — თქვა ნანამ.

უყურებ ამ სურათს და ფიქრობ, რომ თვით ნანაც ხომ ჩვენი ცხოვრების ყვავილია, რომლის იშვიათი ნიჭის გაფურჩქვნას ასე მოელიან ჭადრაკის მოყვარულნი.

# „დიადი უპუქცევა"

### სსრ კავშირის უძლიერეს კალათბურთელ ქალთა გუნდების ასპარეზობა

არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომლის მიმართ მუდმივ წინააღმდეგობაში არიან კალათბურთელები.

მსაჯები!

სპორტსმენის აზრით, მსაჯი, როგორც წესი, განგებ ვერ ამჩნევს მთავარს, როგორც წესი, უშვებს შეცდომებს და თითქმის ყოველთვის მოწინააღმდეგე გუნდს ემხრობა.

მსაჯი ყველასგან განწირულია!

მწვრთნელები მას ეჭვის თვალით შეჰყურებენ. მაყურებლები კრიტიკულად აფასებენ მის გადაწყვეტილებებს. მსაჯს კი რკინის ნერვები აქვს,— იგი ვალდებულია ბოლომდე იდგეს სიმართლის სადარაჯოზე.

საცოდავი მსაჯები!

მაგრამ დადგა საშინელი სამსჯავროს დღე: მსაჯები ცოდვებს ინანიებენ. უმაღლესი ქურუმების როლში ამჯერად... კალათბურთელები გამოდიან და ხდება „დიადი უპუქცევა".

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა. მაგრამ სიმართლის ნაწილი მასში უთუოდ არის. და რადგან ეს ასეა, კალათბურთელებმა კარგი ტრადიცია დაამკვიდრეს. ყოველი ჩემპიონატის თავისუფალ დღეს მოედანზე საბრძოლველად მსაჯები და მწვრთნელები გამოდიან. ამ თავისებურ „ანგარიშსწორებას" სჯიან კალათბურთელები და, როგორც წესი, საკმაოდ მკაცრადაც: ითხოვენ იმას, რასაც თვითონ არ ასრულებენ.

თბილისში ასეთი მატჩი გასულ კვირას გაიმართა. ერთ-ერთი მსაჯი ტაშკენტელი რ. სალიმოვა იყო. მსაჯებმა ამ შეხვედრაში დაამტკიცეს თავიანთი მორალური უპირატესობა მწვრთნელებზე (გაიმარჯვეს 50:48) და კიდევ ის, რომ კალათბურთში არც თუ ისე ურიგოდ ერკვევიან. მწვრთნელებისთვის ეს „სასიამოვნო" სიურპრიზი გამოდგა.

სალიმოვა ამჯერად მსაჯების მიმართ ლმობიერებას იჩენდა, რადგან ამ უკანასკნელებს მისდამი პრეტენზია არა აქვთ. მართლაც, შეუძლებელია ტაშკენტელთა ცენტრალური თავდამსხმელით უკმაყოფილო იყო! თავისი გუნდისთვის მას ყოველ თამაშში საშუალოდ 30-40 ქულა მოაქვს, თამაშობს უსიტყვოდ და უაღრესად სასარგებლოდ. „ტექსტილმაში" წარმატებას რ. სალიმოვას უნდა უმადლოდეს.

სხვათა შორის, მსაჯები თბილისის ტურით კმაყოფილნი არიან. ყველაფერი თავისი რიგითა და წესით მიდის. არც კალათბურთელებს აქვთ რაიმე პრეტენზია. როგორც ჩანს, ყველაფრის მიზეზი ის გახლავთ, რომ რიგელმა სპორტსმენებმა სტარტზევე გაინაღდეს ჩემპიონის ოქროს მედლები და გუნდებს ეს დიდი საზრუნავი დროზე ჩამოცილდა.

**ნ. გუგუშვილი**

* * *

მოგვყავს ორი უკანასკნელი კალენდარული დღის ტექნიკური შედეგები:

**31 მაისი.** „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი)—ტტტ (რიგა) 36:68, უნივერსიტეტი (ტარტუ) — „დინამო" (კიევი) 46:51, „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — „ტექსტილმაში" (ტაშკენტი) 32:45, სკა (ლენინგრადი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 63:52, „პოლიტექნიკი" (კაუნასი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 49:57, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი) 58:42.

**1 ივნისი.** ტტტ (რიგა) — „პოლიტექნიკი" (კაუნასი) 52:46, „დინამო" (კიევი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 51:46, „ტექსტილმაში" (ტაშკენტი) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 48:52, „ურალმაში" (სვერდლოვსკი)—„სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 42:59, „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი) — სკა (ლენინგრადი) 55:37, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — უნივერსიტეტი (ტარტუ) 60:36.

* * *

კალათბურთელ ქალთა თბილისში გუშინ დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთათვის დაწესებული იყო ჯილდოები.

**გაზეთ „ლელოს" პრიზი**—„საუკეთესო თავდამსხმელს" — მიეკუთვნა ლ. კუკანოვას („სერპ ი მოლოტი", მოსკოვი);

**გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის"** პრიზი — „საუკეთესო მცველს" — გადაეცა ნ. პოზნანსკაიას (სკა, ლენინგრადი);

**საქართველოს სპორტკავშირისა და კალათბურთის ფედერაციის** პრიზი — „საუკეთესო მსაჯს" — გადაეცა დ. დავთიანს (ერევანი);

**სახელმწიფო უნივერსიტეტის** პრიზი — „საუკეთესო გამთამაშებელს" — მიეკუთვნა გ. გრიგორიანს (თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი);

**პოლიტექნიკური ინსტიტუტის** პრიზი — „საჯარიმო სროლების საუკეთესო შემსრულებელს" — გადაეცა ვ. ლუუტსეპს (ტარტუს უნივერსიტეტი);

**ფიზკულტურის ინსტიტუტის** პრიზი — „ყველაზე შედეგიან თავდამსხმელს" — დაიმსახურა რ. სალიმოვამ („ტექსტილმაში", ტაშკენტი) — 131 ქულა.



როგორც ცნობილია, მშვიდობის მრავალდღიანმა ველორბოლამ თავისი მარშრუტი პრაღაში დაამთავრა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ჩეხმა იან სმოლიკმა, გუნდურში კი გდრ-ის ნაკრებმა.

სურათზე: გერმანელი ველოსიპედისტები პრაღის სტადიონზე. აქვეა ი. სმოლიკი (მარცხნიდან მესამე) და ყველაზე აქტიური ველოსიპედისტი — ბელგიელი ი. სპრუიტი (მარცხნიდან მეოთხე).

საკდესის ტელეფოტო.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

(რსფსრ-ს IV ზონა)

# კაიშაურის ორი ბურთი

გურჯაანის სტადიონი. 31 მაისი. „ალაზანი" (გურჯაანი) — „დინამო" (სოხუმი) 2:0 (2:0). მსაჯი — გ. აკობაშვილი (თბილისი).

მატჩის პირველი წუთები ორმხრივი შეტევებით აღინიშნა, მაგრამ მალე მასპინძლებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მეტოქის კარს მწვავედ შეუტიეს. დაახლოებით მე-15 წუთიდან გურჯაანელი ფეხბურთელები თითქმის დასახლდნენ „დინამოს" საჯარიმო მოედანზე. იერიში იერიშს ცვლიდა, სახიფათო მომენტიც ბევრი შეიქმნა და აი, 22-ე წუთზე არუთინოვმა ზუსტად ჩააწოდა ბურთი უმეთვალყუროდ დატოვებულ კაიშაურს, რომლის დარტყმამ სტუმრების კარის ბადე შეარხია — 1:0.

„ალაზანს" ინიციატივა არც ამის შემდეგ გაუშვია ხელიდან. იგი კვლავინდებურად სახიფათოდ უტევდა და 26-ე წუთზე ახალ წარმატებას მიაღწია. კაიშაური მეკარის პირისპირ გაიჭრა, ზუსტი დარტყმა სოხუმელთა მეკარე პაპასკირმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია და ბურთი პირით ხაზს გადაცდა. გურჯაანელებმა გაითამაშეს კუთხური და იმავე კაიშაურმა ანგარიში ორამდე გაზარდა.

შესვენების შემდეგ უპირატესობა კვლავ „ალაზნისა" იყო, მაგრამ ანგარიში 2:0 არ შეცვლილა.

**ბ. გაბრუაშვილი**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.)
გურჯაანი.

## თითო ქულა...

**რუსთავი.** ადგილობრივი „მეტალურგისა" და ბათუმის „დინამოს" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

## სსრ კავშირის თასზე

# დამატებით დროში

გასულ კვირას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების კალენდარული მატჩები ფეხბურთში.

მოსკოვში თამაშობდნენ ადგილობრივი და თბილისის „ლოკომოტივი". მატჩის ძირითადმა დრომ უძლიერესი ვერ გამოავლინა. დამატებით დროში მოსკოველებმა 4 „მშრალი" ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „თერგი" (გროზნო) — „არარატი" (ერევანი) 5:2, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „კაირატი" (ალმა-ატა) 0:3, „ზნამია ტრუდა" (ორეხოვო-ზუევო) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 0:2, სკა (ლვოვი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 6:2, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 2:0.

# საბჭოთა მოჭადრაკეები უმატებენ ტემპს

ბევრს უკვირდა, რომ ამსტერდამის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის სტარტზე ლიდერთა შორის არ ჩანდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები. ამაში არაფერი იყო საკვირველი, რადგან ხელოვნური წილისყრის გამო ჩვენი მოჭადრაკეები სტარტზე ერთმანეთს ხვდებოდნენ და მათი პარტიების უმრავლესობა ყაიმით მთავრდებოდა.

და აი, IX ტურიდან, რომელიც გასულ შაბათს გათამაშდა, საბჭოთა დიდოსტატებმა დაიწყეს შეხვედრები უცხოელ კოლეგებთან. როგორც უკვე ვიუწყებოდით, გამარჯვებები მოიპოვეს სმისლოვმა, ტალმა, სპასკიმ და ბრონშტეინმა, შტეინმა კი მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია გლიგორიჩთან.

კვირას, 31 მაისს, მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. სმისლოვს პორტიშთან მცირე უპირატესობა ჰქონდა ენდშპილში. საბჭოთა მოჭადრაკემ მონახა გამარჯვებისკენ მიმავალი ეტიუდური გზა და მოიგო პარტია. სპასკის სმისლოვი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეუთანხმდა, რადგან დაბოლოებაში შეუძლებელი აღმოჩნდა ზედმეტი პაიკის რეალიზაცია.

ტურნირის ლიდერმა — ლარსენმა ეფექტურად დაავჳირგვინა უკეთეს მდგომარეობაში შეწყვეტილი პარტია ლენდიელთან, მაგრამ ამ მარცხს არ გაუტეხია გული ლენდიელისთვის. მან იშვიათი სიზუსტით ითამაშა ვრანეშიჩთან და როსეტოსთან გადადებულ პარტიებში და 2 ქულა ჩაიწერა. შტეინმა მოუგო გლიგორიჩს, ბერგერმა — დარგას, ივკოვ—ევანსის და ბენკო — ტრინგოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მთელი საათი გაგრძელდა რეშევსკი — ევანსის პარტიის დამთავრება, რომელშიც თეთრებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ. შეუპოვარი თამაშით რეშევსკიმ მაინც შეძლო პარტიის მოგება. ყაიმით დასრულდა ბერგერ — კვინონესის შეხვედრა.

IX ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურებოდა: ბ. ლარსენი — 7,5 ქულა, დ. ბრონშტეინი, ბ. ივკოვი და ს. რეშევსკი — 6,5 ქულა თვითეულს, ვ. სმისლოვი, ბ. სპასკი და მ. ტალი — 6 ქულა თვითეულს.



# ფიდე მკაცრად სჯის ფიშერს

**ამერიკელის თავგასულობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა**

როგორც ბულგარეთის „ნაროდენ სპორტი" იუწყება, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ თავის რიგებიდან გარიცხა ამერიკელი დიდოსტატი რ. ფიშერი, რომელმაც უმიზეზოდ განაცხადა უარი საზონათშორისო ტურნირში თამაშზე. ამავე დროს ფიშერმა დაიწყო დიდი საგასტროლო ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ერთდროული თამაშის სეანსებს მართავს და დიდ ჰონორარს იღებს.

„ფიდეს ასეთი გადაწყვეტილება სენსაცია როდია", — წერს გაზეთის მიმომხილველი ლ. მილანოვი. ფიშერის დასჯას დიდი წინაისტორია ჰქონდა. ჯერ კიდევ 10 წლის წინ ჭადრაკის სამყარო გულთბილად შეხვდა სავსებით ყმაწვილ ფიშერს, რომელმაც დიდი ნიჭი გამოიჩინა, ამ 10 წლის მანძილზე იგივე საჭადრაკო სამყარო ზოგჯერ აღშფოთებით, ზოგჯერაც სინანულით ხვდებოდა ახალგაზრდა დიდოსტატის ყოვლად უმსგავსო გამოხდომებს, მის ზვიადობას, თვითრეკლამას და უტაქტობას, რომელიც ხანდახან უხეშობაში გადაიზრდებოდა ხოლმე.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ფიშერმა ჟურნალ „ნიუზუიკში" განაცხადა: „... ჭადრაკში ჩემს გარდა არავინ არის მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის ღირსიო". მაგრამ ეს გვირგვინი მისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ზონალური და საზონათშორისო ტურნირების გავლის შემდეგ ფიშერმა ორგზის განიცადა ფიასკო პრეტენდენტთა ასპარეზობაში. მაშინ ფიშერი შეეცადა ზემოქმედება მოეხდინა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციაზე და პირდაპირ მიეღო მსოფლიო ჩემპიონთან თამაშის უფლება, მაგრამ ამაოდ. ამას ფიშერმა თავისებურად უპასუხა და საზონათშორისო ტურნირში თამაშზე უარი განაცხადა.

„ნაროდენ სპორტს" მოყავს საინტერესო ცნობები ფიშერის თავაშვებული საქციელის შესახებ. 1962 წელს იგი ვარნაში თამაშობდა XV საჭადრაკო ოლიმპიადაზე. და აი, მას და ხანდაზმულ არგენტინელ დიდოსტატ მ. ნაიდორფს ეწვივნენ გულშემატკივრები და ავტოგრაფები თხოვეს. ნაიდორფმა დაუყოვნებლივ შეასრულა სტუმართა სურვილი, ხოლო ფიშერის პასუხი სრულიად მოულოდნელი იყო: „მე ავტოგრაფში 5 ლევს ვიღებ!"

— როგორ იქცევით, ბობ, — წამოიძახა გაოცებულმა ნაიდორფმა, — მე თქვენზე ასაკით სამჯერ უფროსი ვარ, მაგრამ ავტოგრაფში არასოდეს მომითხოვია ფული.

— კი, მაგრამ მე ხომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ვარ!

— ასეთი გზით მსოფლიო ჩემპიონი კი არა, კრეტინების ჩემპიონი უფრო გახდებით, — უპასუხა ნაიდორფმა.

...5 დოლარი ავტოგრაფში, 50 — ჟურნალისტებთან შეხვედრისთვის, 200 — ინტერვიუსთვის, 250 დოლარი — ერთდროული თამაშის სეანსისთვის, — აი ფიშერის „ნიხრი".

და ვანა ამის შემდეგ გასაკვირია, რომ ფიშერმა უარი განაცხადა ეთამაშა ამსტერდამში, სადაც პირველი ჯილდო სულ... 300 დოლარია! აი, ფიშერის სულიერი სამყარო: 11 ახალი კოსტუმი, რომელიც პრეზიდენტის პირადმა მკერავმა უნდა შეკეროს, ვილა, რომელსაც საჭადრაკო ეტლის ფორმა ექნება, თეთრიალქნიანი ნავი, 2.000-დოლარიანი ჰონორარი ყველა საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობისთვის. ფიშერი მოითხოვს ჭადრაკის თამაში აუკრძალონ ზანგებსა და ქალებს, როგორც არასრულყოფილ ადამიანებს...

ასე ეწირება „ყვითელ ეშმაკს" რობერტ ფიშერის მართლაც და დიდი საჭადრაკო ნიჭი.



## მაღალი შედეგები

ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქში მძლეოსნებმა რამდენიმე მაღალი შედეგი აჩვენეს. სოლტ ლეიკ-სიტში გ. კარმა 100 იარდი 9,3 წამში გაირბინა, ხოლო 440 იარდზე სეზონის საუკეთესო შედეგი — 46,0 — აჩვენა ახალგაზრდა რ. ტობლერმა (400 მეტრზე გადაყვანით — 45,7).

სტადიონ „მოდესტოზე" ჰ. კონოლიმ ურო 67,71 მეტრზე ტყორცნა.

ამანათრბენში 4×220 იარდზე ნაჩვენები იქნა დრო — 1.32,2, რომელიც ძალიან ახლოსაა მსოფლიო რეკორდთან.

კანზას-სიტში ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა 440 იარდზე რბენაში 17 წლის მოსწავლე გოგონამ ჯ. სმიტმა — 54,8.

## 110 იარდი — 54,0 წამში. ბირთვი ეცემა 20 მეტრსა და 19 სანტიმეტრზე

ახალი, მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები ცურვასა და მძლეოსნობაში იმ სპორტსმენთა მიერ, რომლებიც ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებიან.

ბლეკპულში, დიდი ბრიტანეთისა და ჰოლანდიის მოცურავეთა სამატჩო შეხვედრაში, 19 წლის შოტლანდიელმა მაკგრეგორმა გაიმეორა თავისივე მსოფლიო რეკორდი 110 იარდზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 54,0 წამი.

ლოს-ანჯელოსში გამართულ შეჯიბრებაზე ამერიკელმა მძლეოსანმა დალას ლონგმა ბირთვი ჰკრა 20 მეტრსა და 19 სანტიმეტრზე.

უნგრეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე ხუთჭიდი. ამ ქვეყნის სპორტსმენებმა უკანასკნელ წლებში დიდ წარმატებას მიაღწიეს. საერთაშორისო სარბიელზე თანამედროვე ხუთჭიდის საბჭოთა ოსტატების გამოსვლის შემდეგ მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული ძირითადად ამ ორი ქვეყნის სპორტსმენებს შორის თამაშდება. უნგრეთის გუნდის ლიდერი, მსოფლიო ჩემპიონი ანდრაშ ბალცო რამდენიმე წელია გამარჯვებული გამოდის თითქმის ყველა შეჯიბრებაში, როგორც შინ, ისე გარეთ. მან წარმატებით დაამთავრა ასპარეზობა ამას წინათ ბუდაპეშტში დამთავრებულ დიდ საერთაშორისო ტურნირში. მან საერთო პირველი ადგილი დაიკავა ხაკმაოდ მაღალი შედეგით (5231 ქულა). შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მან სთქვა: „ერთ თვეს დავისვენებ, შემდეგ კი შევუდგები გაძლიერებულ მზადებას მოსკოვის ტურნირისთვის, რომელიც აგვისტოში გაიმართება. შემდეგ კი ტოკიოს ოლიმპიური თამაშებია".

* * *

სურათებზე: ზევით — ა. ბალცო მძლეოსნური კროსის დისტანციაზე; ქვევით — ცხენოსნურ კროსში დაბრკოლების გადალახვის დროს.

ფოტო ფერენც ტოლდისა.

## სენსაციური გამარჯვება

### პელე კვლავ ბრწყინვალე ფორმაშია

რიო-დე-ჟანეიროში დაიწყო ბრაზილიური ფეხბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომელშიც ადგილობრივი ნაკრების გარდა მონაწილეობენ ინგლისის, არგენტინისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდები.

პირველ მატჩში მსოფლიო ჩემპიონებმა — ბრაზილიელებმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს, მათ დაამარცხეს ინგლისის ეროვნული ნაკრები — 5:1 (1:0).

ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა რინალდომ. მეორე ტაიმში გრივსმა (ინგლისი) საპასუხო ბურთი გაიტანა. ამის შემდეგ ინიციატივას მთლიანად მასპინძლები დაეუფლნენ.

ბრწყინვალედ ითამაშა პელემ, იგი გახდა 1 ბურთის ავტორი და დანარჩენი სამის თანაავტორი.

## მანიპულაცია ქულებითა და კოლბებით

რომელი გუნდი ლიდერობს იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატს და რამდენი ქულა აქვს მას? ამ უბრალო კითხვაზე პასუხის გაცემა თურმე საკმაოდ ძნელია. ყველაფრის მიზეზი გახდა სკანდალი, რომელიც გამოიწვია „ტურინისა" და „ბოლონიის" თებერვლის მატჩმა. „ბოლონიის" ხუთი ფეხბურთელის სისხლში აღმოჩენილ იქნა დოპინგი. იტალიის საფეხბურთო ლიგის აღმასრულებელმა კომისიამ 1965 წლის ბოლომდე გადააყენა „ბოლონიის" მწვრთნელი, ხოლო კლუბს 3 ქულა დააკლო. „ბოლონიამ" სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი დაჰკარგა, მაგრამ ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა ეს გადაწყვეტილება გააპროტესტეს და კომისიას სასამართლოში უჩივლეს, ხოლო კლუბის გულშემატკივართა მონაწილეობით რამდენიმე დემონსტრაცია გამართეს.

შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს კომისიის სამართლიან გადაწყვეტილებას წყალი არ გაუვიდოდა. სწორედ ამიტომ იყო მოულოდნელი იტალიის საფეხბურთო ლიგის ნაბიჯი, რომელმაც „ბოლონიას" დაუბრუნა ჩამორთმეული ქულები. გუნდი კვლავ ლიდერი გახდა, ხოლო „ინტერნაციონალემ" მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

რატომ შეცვალა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება ლიგამ? იტალიის პრესის ცნობით, სასამართლო პროცესმა თითქოს დამატებითი ამბები გამოარკვია. სახელდობრ, „ბოლონიის" ვექილის განცხადებით, ეჭვმიტანილ ფეხბურთელებს სისხლი ორჯერ აუღეს. ერთ შემთხვევაში იგი ფლორენციაში გაგზავნეს საანალიზოდ, სადაც სპეციალისტებმა ადვილად დაადასტურეს დოპინგის არსებობა. მეორე შემთხვევაში „ბოლონიის" კლუბის ინიციატივით ანალიზები ოთხ ცნობილ პროფესორს გადაეგზავნა, რომლებმაც ერთხმად უარყვეს სისხლში დოპინგის რაიმე ნიშანკვალი.

ამ განცხადებაზე დაყრდნობით „ბოლონიის" ვექილები ამტკიცებენ, რომ ვიღაც მესამე ხელმა შეცვალა სისხლიანი კოლბები. ვისია ეს „მესამე ხელი", ვექილებმა, რა თქმა უნდა, არ იციან.

მდგომარეობა საბოლოოდ დაიხლართა. დაიწყო უცნობი ბოროტმოქმედის ძებნა და ბოლოს კვალი ვიღაც ექიმს მიადგა, რომელიც ვითომდა „ინტერნაციონალეს" კარნახით მოქმედებდა. ბრალდებულმა ყველაფერი უარყო და „ბოლონიის" ხელისუფლებმა თავისი გაიტანეს. შეიქმნა ბუნდოვანი მდგომარეობა, რომლითაც ისარგებლეს კლუბის ხელმძღვანელებმა და ფეხბურთის ლიგას მოთხოვეს ქულების დაბრუნება, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა.

მანიპულაცია ქულებითა და კოლბებით გრძელდება...

## ვინ მოკლა ხანკოკი?

ეს ლაკონური შეკითხვა ამას წინათ გამოჩნდა ინგლისის გაზეთების სპორტულ ფურცლებზე. „ნოტინჰემის მახლობლად მკვდარი კაცი — ბერნჰარდ ხანკოკი იპოვნეს". რა კავშირი აქვს ამ ცნობას სპორტთან? ბერნჰარდ ხანკოკი ფეხბურთის ერთ-ერთი მსხვილი ბუკმეკერი ყოფილა. იგი ტოტალიზატორის მეოხებით დიდ კაპიტალს ატრიალებდა. ერთ მშვენიერ დღეს ხანკოკი შეაშფოთეს. პოპულარულმა ინგლისურმა გაზეთმა „პიპლმა" წერილების სერია გამოაქვეყნა, რომელშიც ბრიტანეთის საფეხბურთო კლუბების მაქინაციები იყო მხილებული. რეპორტიორმა დაასახელა იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებიც მოურიდებლად იღებდნენ ქრთამს.

ასეთთა შორის ყველაზე განთქმული შოტლანდიის ეროვნული ნაკრების მეკარე დიკ ბიტი აღმოჩნდა. ბიტი სულ იოლად უშვებდა ბურთებს საკუთარი კლუბის — „პორტსმუტის" კარში. „პიპლმა" თავის მკითხველებს პირობა მისცა, რომ უახლოეს ხანში უფრო სენსაციურ ცნობებს გამოაქვეყნებდა. როგორც ჩანს, ამან ააღელვა ფეხბურთის ტოტალიზატორთან საეჭვოდ დაკავშირებული ზოგიერთი საქმოსანი. ყოველ შემთხვევაში, პრესა ხანკოკის სიკვდილს სწორედ ამ ფაქტს უკავშირებს, პოლიცია კი რატომღაც დუმილის პოლიტიკას არჩევს. ვინ მოკლა ხანკოკი? ეს კითხვა ჯერ კიდევ ელის პასუხს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ს. მ. კიროვის სახ. პარკის კალათბურთის სტადიონი

3 ივნისი

საქალაქთაშორისო შეხვედრა

კრივში

როსტოვი — თბილისი

დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

